საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1328 2017 წლის 30 ივნისი ქ. თბილისი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №231 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად, „ოზურგეთის მუნიციპალიტეტისათვის გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 11 თებერვლის №231 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და:

ა) სათაური ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ოზურგეთის, ქალაქ ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებისათვის გრანტის მიღების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“;

ბ) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-100 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტების შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ოზურგეთის, ქალაქ ოზურგეთის, ჩოხატაურისა

და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს, ევროკავშირის პროექტის - „მონაწილეობითი CHARRETTE გურიის ტურიზმის განვითარების სტრატეგიისთვის“ - ფარგლებში გამოყოფილი 374 749 (სამას სამოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაცხრა) ევროს ოდენობის გრანტიდან მიიღონ შემდეგი მოცულობის გრანტი:

ა) ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა - 71 419 (სამოცდათერთმეტი ათას ოთხას ცხრამეტი) ევრო;

ბ) ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტმა - 5 885 (ხუთი ათას რვაას ოთხმოცდახუთი) ევრო;

გ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტმა - 14 775 (თოთხმეტი ათას შვიდას სამოცდათხუთმეტი) ევრო;

დ) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტმა - 14 748 (თოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდარვა) ევრო.“;

გ) მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, მიეცეს თანხმობა ოზურგეთის, ქალაქ ოზურგეთის, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებს, ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული პროექტის განსახორციელებლად გამოიყენონ საგრანტო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ევროკავშირის შესყიდვის პროცედურები.“.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**